2019

თინათინ ნიბლოშვილი

ანგარიში 2019

სარჩევი

შესავალი....2
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის შესახებ....3
კომისიის სხდომების, საკითხების საჯაროდ განხილვების და განხორციელებული სახელდებების შესახებ....5
კომისიის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით განხორციელებული სამუშაოების შესახებ....6
კომისიის მიერ განხილული კორესპონდენციების შესახებ....7
მოქალაქეებისთვის გაწეული სატელეფონო და “facebook” კონსულტაციის შესახებ....8
მოქალაქეებთან შეხვედრების შესახებ....8
ოფიციალური შეხვედრების შესახებ....9
განხორციელებული ღონისძიებების შესახებ....10
სამისამართე აბრების განთავსების პროცესის მიმდინარეობა....20
კომისიის საქმიანობის საზოგადოებაში და მედიაში პოპულარიზების თაობაზე. 21
განხორციელებული სახელდებები 22
ინფორმაცია განთავსებული აბრების შესახებ....27

შესავალი

ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს - თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მეშვეობით.თბილისის საკრებულო არის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც შედგება 50 წევრისაგან. აქედან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან, ხოლო 25 - პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 მუდმივმოქმედი კომისია:

- სარევიზიო,
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა,
- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის,
- განათლებისა და კულტურის,
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის,
- სატრანსპორტო საკითხთა,
- გარემოს დაცვის,
- სახელდებისა და სიმბოლიკის,
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა,
- ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების,
- ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო.

ასევე 5 ფრაქცია:

- ფრაქცია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
- ფრაქცია ქართული ოცნება-კონსერვატორები
- ფრაქცია ქართული ოცნება-მრეწველები
- ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- ფრაქცია ევროპული საქართველო - თბილისი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს მათ შორის განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება. ამავე კოდექსის მიხედვით გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას და მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დადგენას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, თბილისის დროშის, გერბის და სხვა სიმბოლოების დადგენის მიზნით თბილისის საკრებულოში შექმნილია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია.

კომისიამ, როგორც დროებითმა სამუშაო ჯგუფმა საკრებულოში ფუნქციონირება 2006 წელს დაიწყო. სამუშაოების მოცულობის და მზარდი მომართვიანობის გათვალისწინებით 2010 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება მის მუდმივმოქმედ კომისიად ჩამოყალიბების თაობაზე. 2010 წლიდან დღემდე კომისიამ 3500 ზე მეტი წერილობითი განცხადება განიხილა, რომელთა უმრავლესობა ერთობლივი ხასიათის იყო და არაერთი მოქალაქე აწერდა ხელს.



2010 წლიდან დღემდე საერთო ჯამში საკრებულოს მიერ, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ჩათვლით, მიღებულია 3000 ზე მეტი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

მუდმივმოქმედ კომისიად ჩამოყალიბებიდან დღემდე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივის საფუძველზე საკრებულოს მიერ გეოგრაფიული ობიექტების თაობაზე გამოცემულია 1000 ზე მეტი სამართლებრივი აქტი, სახელი მიენიჭა რამდენიმე ათას გეოგრაფიულ ობიექტს.



კომისიის სხდომების, საკითხების საჯაროდ განხილვების და განხორციელებული სახელდებების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 12 სხდომა და საკითხების 5 საჯარო განხილვა. საერთო ჯამში განხილული იქნა 90 საკითხი.

ხსენებული საკითხების უმრავლესობა მომზადდა და სახელდება განხორციელდა დაინტერესებული მხარეების მომართვის საფუძველზე. თუმცა კომისიის მიერ შესწავლილი და პრიორიტეტულად მიჩნეული იქნა ქუჩებისთვის 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპულთა და ქართული კინოს ვარსკვლავების სახელების მინიჭების ინიციატივები.

კომისიის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით განხორციელებული სამუშაოების შესახებ

ცნობილია, რომ 2016 წლიდან სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საკითხებს განიხილავს საჯაროდ, დაინტერესებული პირების მონაწილეობით. კომისიის მიერ გასახილველად მომზადებული საკითხები ქვეყნდება საჯაროდ საქმისწარმოების მასალებთან ერთად.

ხსენებული მიდგომის მიუხედავად პრაქტიკამ ცხადყო, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებს არ გააჩნდათ სრული ინფორმაცია მათი საცხოვრებელი ქუჩისთვის სახელწოდების ცვლილების თაობაზე. ჩვენი ინიციატივით ყველა იმ სახელდებულ ქუჩაზე, სადაც კომისია გარკვეული ტიპის ცვლილებას განიხილავს მოქალაქეთა უკეთ ინფორმირების მიზნით ხდება საინფორმაციო ბარათების განთავსება, მოქალაქეებს განემარტებათ ცვლილების შესახებ და ეძლევათ შესაძლებლობა არსებობის შემთხვევაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მიმართონ მოსაზრებებით, ასევე მოითხოვონ საკითხის განხილვის პროცესში მონაწილეობის მიღება.

კომისიის მიერ განხილული კორესპონდენციების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით შემოვიდა 300-ზე მეტი განცხადება, ხსენებული განცხადებების უმრავლესობაზე კომისიის მიერ მოხდა შესაბამისი რეაგირება, ხოლო ნაწილზე კვლავ მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიის მიერ მოქალაქეებთან და სხვა ადმინისტრაციულ ორგანიზაციებთან გაგზავნილი იქნა 400-ზე მეტი პირველადი და შუალედური ხასიათის განცხადება.





მოქალაქეებისთვის გაწეული სატელეფონო და “facebook” კონსულტაციის შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მოქალაქეებისთვის კონსულტაციის გაწევის მიზნით აქტიურად იყენებს ე.წ. „ცხელ ხაზს“ და სოციალურ გვერდს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიის სამდივნოს მიერ 1000-მდე მოქალაქეს გაეწია სატელეფონო კონსულტაცია, ზარების უმრავლესობა მისამართის დაზუსტებას და კონკრეტული ქუჩის მდებარეობას შეეხებოდა. სოციალური ქსელის ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია უფრო სრულყოფილად მიეწოდებათ, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტების და ლინკების მითითებით.

მოქალაქეებთან შეხვედრების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში არ არის მოქალაქეთა მიღებისთვის განკუთვნილი კონკრეტული დღე, კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ საკრებულოში მოსულ მოქალაქესთან ოპერატიულად ხდება შეხვედრა და მიიღება მოთხოვნის შესაბამისი გადაწყვეტილება.

გარდა საკრებულოში მოსული მოქალაქეების მიღებისა კომისიის მიერ რეგულარულად ხდება დასამისამართებელი ტერიტორიების ადგილზე დათვალიერება და ადგილობრივებთან შეხვედრა. აღნიშნული პრაქტიკა ამარტივებს როგორც გზათა ქსელების მომზადების პროცესს, ასევე გამორიცხავს შესაძლო ხარვეზების დაშვებას და საშუალებას იძლევა მოსმენილი და გათვალისწინებული იყოს მოქალაქეთა მოსაზრებები.

ოფიციალური შეხვედრების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის საკითხებზე შეხვედრები გაიმართა რუმინეთის საგანგებო და სრულუბლებიან ელჩთან საქართველოში, ესპანეთის ოფიციალურ დელეგაციასთან და ყაზახეთის საელჩოს წარმომადგენლებთან.

განხორციელებული ღონისძიებების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით სახელდების პროცესის განხორციელების პარალელურად დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი საინტერესო ღონისძიება, რომელთა მიზანიც ღვაწლმოსილი მოღვაწეების საზოგადოებაში პოპულარიზება და მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნა იყო.

14 იანვარი სახელმწიფო დროშის დღეა. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით აღინიშნა ეს დღე, თბილისის საკრებულოს აივნებიდან გამოიფინა საქართველოს სახელმწიფო დროშები. ღონისძიება ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კოორდინირებულად გაიმართა და მას სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიც შეუერთდნენ

საბურთალოს რაიონში, გამსახურდიას გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა ისტორიკოსის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ქუჩა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქალაქის ურბანულ გარემოში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარებას. ბოლო ერთი წლის განმავლობაში 16 ქუჩას მიენიჭა ქალის სახელი,

მ/წელს ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კომისიის ინიციატივით განხორციელდა თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტების გენდერული ანალიზი, როგორც ირკვევა 5000 -ზე მეტი გეოგრაფიული ობიექტიდან მხოლოდ 130 ქუჩა ატარებს ქალის სახელს. თემის აქტუალობის და პრობლემის მასშტაბურობის გათვალისწინებით კომისიის ინიციატივით დაიბეჭდა საინფორმაციო ბარათების კრებული „ქალები თბილისის ქუჩებიდან“, ბარათებზე დატანილია ხსენებული 130 ქალის ბიოგრაფიული მონაცემები და ქუჩის კარტოგრაფიული მასალა. ბარათების პრეზენტაცია 8 მარტს ნანა მჭედლიძის სახელობის სკვერში გაიმართა. სკვერის გახსნის პარალელურად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი ქალების სახელზე დაირგო მარადმწვანე ნარგავები.



საზოგადოებისთვის ცნობილია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს უახლეს საქართველოს ისტორიაში, დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ 9 აპრილის აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა უმრავლესობის სახელები თბილისში მდებარე ქუჩებს ამ დრომდე არ ქონდათ მინიჭებული. კომისიის ინიციატივით დაიწყო ქუჩებისთვის 9 აპრილს დაღუპულთა სახელების მინიჭების პროცესი. 2009 წლის 9 აპრილს კომისიამ დაღუპულთა ოჯახის წევრების მონაწილეობით იმსჯელა ქუჩებისთვის მზია ჯინჭარაძის, თამუნა დოლიძის, თინა ენუქიძის, მანანა ლოლაძის, ელისო ჭიპაშვილის და თამარ მამულაშვილის სახელების მინიჭებაზე.სხდომის დასრულების შემდეგ კი დამსწრე საზოგადოებამ მემორიალი ერთობლივად შეამკო ყვავილებით.

კომისია მუდმივად მუშაობს გეოგრაფიული ობიექტებისთვის იმ საზოგადო მოღვაწეების სახელების მინიჭებაზე, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს საქართველოს კულტურის, სპორტის, მეცნიერების, სამშობლოს დაცვის საქმეში. მ/წლის 15 მაისს 111 წელი შეუსრულდა ქართული კინოს. კინოსტუდია „ქართული ფილმის“, თბილისის ბიგ ბენდისა და პარტნიორი ბიზნეს ორგანიზაციების მხარდაჭერით ქართული კინოს იუბილეს თბილისის საკრებულომ უმასპინძლა. ღონისძიებაზე გამოიფინა სხვადასხვა ქართულ ფილმებში გამოყენებული სამოსი და რეკვიზიტი. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა გააჟღერა ინიციატივა ქუჩებისთვის ბელა მირიანაშვილის, დოდო ჭიჭინაძის, ლეილა აბაშიძის, ლიანა ასათიანის, მარინე თბილელის, გიორგი დანელიას, მედეა ჯაფარიძის, ვახტანგ ტაბლიაშვილის, იაკობ ტრიპოლსკის და გივი ბერიკაშვილის სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით. ღონისძიება დასრულდა საზეიმო ტორტის გაჭრით და ბიგ ბენდის მიერ შესრულებული ქართული კინომუსიკით.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით შოთა რუსთაველის გამზირზე მოეწყო სპეციალური სტენდი, დამთვალიერებელს შესაძლებლობა ქონდა ეხილა თბილისის სხვადასხვა პერიოდის ქუჩის აღმნიშვნელი აბრები.

საბურთალოს რაიონში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა ილია აბულაძის სახელობის მოედანი, ღონისძიებას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.

ჩუღურეთის რაიონში გაიხსნა 2004 წელს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსან გიორგი ქარაიას სახელობის სკვერი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებთან ერთად განახორციელა პროექტი „ჩემი ქუჩა“ პროექტის ფარგლებში ბაგა-ბაღების აღსაზრდელებმა მოამზადეს თბილისის ქუჩების მაკეტები. 200-ზე მეტი ნამუშევარი 1 ივნისს ვაკის პარკში გამოიფინა, გამოფენაზე მოსულ ასობით ბავშვს სხვადასხვა კომპანიის მიერ მოწოდებული ტკბილეული და საჩუქრები გადაეცათ.

კრწანისის რაიონის გამგეობის განცხადების საფუძველზე იოსებ გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერს იოსებ გრიშაშვილის სახელი მიენიჭა. სკვერი სიმბოლურად პოეტის დაბადებიდან 130 წლის იუბილეზე გაიხსნა.

მ/წლის 18 სექტემბერს 5 წელი შესრულდა ქართველი გრაფიკოსის, მხატვარ-მონუმენტალისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის საპატიო მოქალაქის, დედაქალაქის ლოგოს ავტორის ემირ ბურჯანაძის გარდაცვალებიდან. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ
სამგორის რაიონში, ერთ-ერთ მთავარ ქუჩას მისი სახელი მიანიჭა. ქუჩის გახსნის ცერემონიალი სიმბოლურად მხატვრის გარდაცვალებიდან 5 წლის თავზე გაიმართა.

2019 წლის 8 აგვისტოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით ისნის რაიონში, ე.წ. „სამხედრო ქალაქში“ აგვისტოს ომში დაღუპული უშანგი (შმაგი) სოფრომაძის სახელობის ქუჩა გაიხსნა. ქუჩის გახსნას დაღუპული სერჟანტის შვილები, ოჯახის წევრები, თანამებრძოლები და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ. შმაგი სოფრომაძე დაჭრილი თამებრძოლების გამოყვანის დროს ტყვედ ჩავარდა, რამდენიმე დღიანი წამების და საქართველოს დროშაზე ფეხის დადგმაზე უარის თქმის შემდეგ სოფრომაძე დახვრიტეს.



ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით რესტორანმა ფუნიკულიორმა მოხუცებულთა სახლებში შეუღლებულ წყვილებს უმასპინძლა

სამისამართე აბრების განთავსების პროცესის მიმდინარეობა

მისამართის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იქნა 450 000 ლარი. სექტემბრის თვის მდგომარეობით შესრულებულია დაახლოებით 400 000 ლარის სამუშაო. 400-ზე მეტ გეოგრაფიულ ობიექტზე აბრა დამონტაჟდა დაახლოებით 10 000 მისამართზე. 52 ქუჩაზე დამონტაჟდა დგარზე განთავსებული აბრა.

კომისიის საქმიანობის საზოგადოებაში და მედიაში პოპულარიზების თაობაზე.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია რეგულარულად შუქდებოდა მედიასაშუალებების მიერ. კომისიის საქმიანობა რეგულარულად შუქდება საკრებულოს ოფიციალური ვებ გვერდის და სოციალური მედიის საშუალებით. Facebook -ზე არსებობს კომისიის გვერდი. გვერდზე გარდა მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციისა რეგულარულად იდება საინტერესო სიახლეები თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტების შესახებ, გარდა ამისა კომისიის ინიციატივით დაიწყო ახალი პროექტი, გარკვეული პერიოდულობით კომისიის გვერდზე იდება იმ ქუჩების ვიდეორგოლები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში ქართულ ფილმებშია გადაღებული.

განხორციელებული სახელდებები

მთაწმინდა

1. ოქროყანაში, გაგრძელდა სატყეოს ქუჩა და მასთან არსებული უსახელო შესახვევს სატყეოს სახელი მიენიჭა;
2. კოჯორში, ვაჟა-ფშაველას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩასა და მასთან არსებულ ჩიხს ეკატერინე ჩოლოყაშვილის სახელი მიენიჭა;
3. ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩასა და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს იუნკერის ბესარიონ კემულარიას სახელი მიენიჭა;
4. რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის ჩიხსა და შესახვევს მედეა ჯაფარიძის ქუჩის სახელი მიენიჭა;
5. ბაჩანა ბრეგვაძის ქუჩას სანაპიროს სახელი მიენიჭა;
6. იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხს ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელი მიენიჭა;
7. ვერის შესახვევს სატივეს ქუჩის სახელი მიენიჭა;
8. ოქროყანაში, სატყეოს ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და შესახვევს ელენე მეტრეველის სახელი მიენიჭა;
9. ვასილ ბარნოვის II ჩიხსა და ერეკლე ტატიშვილის I ჩიხს მსახიობ გივი ბერიკაშვილის სახელი მიენიჭა;

კრწანისი

1. გზისკარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისას, მასთან არსებულ ერთ შესახვევს და ერთი ჩიხს ნოქალაქევის სახელი მიენიჭა;
2. დიმიტრი გულიას ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელის მიენიჭა;
3. იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს პოეტ იოსებ გრიშაშვილის სახელი მიენიჭა;
4. ანდრო ჟორდანიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელი მიენიჭა;
5. ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებული ორ შესახვევს ინჟინერის, პროფესორ ირაკლი ჟორდანიას სახელი მიენიჭა;

ვაკე

1. ე.წ მაღლივის ხიდს ივანე ჯავახიშვილის სახლი მიენიჭა;
2. დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელი მიენიჭა;
3. დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ოთარ ოძელაშვილის სახელი მიენიჭა;
4. ბაგებში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის სახელი მიენიჭა;
5. უნივერსიტეტის ქუჩის მონაკვეთს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩასა და ერთი გასასვლელს გიორგი დანელიას სახელი მიენიჭა;
6. ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელის მიენიჭა;
7. არჩილ გელოვანის ქუჩას მედიცინის დამსახურებული მოღვაწეების ზაზა და საულ კახიანების სახელი სახელი მიენიჭა;
8. ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას ექიმის, პროფესორ მარიამ გრიგალაშვილის სახელი მიენიჭა;
9. წყნეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩასა და მასთან არსებული ერთ ჩიხს ვახტანგ ტაბლიაშვილის სახელი მიენიჭა;
10. ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებულ უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს ფრიდონ თოდუას სახელი მიენიჭა;

საბურთალო

1. ლამის ქუჩის მონაკვეთს, ლამის I შესახვევსა და ლამის III შესახვევს ლამის ქუჩის სახელი მიენიჭა;
2. ალექსანდრე ყანჩელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მზია ჯინჭარაძის სახელი მიენიჭა;
3. რეხის I ქუჩის მონაკვეთს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის სახელი მიენიჭა;
4. რეხის I ქუჩის მონაკვეთს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თინა ენუქიძის სახელი მიენიჭა;
5. რეხის II ქუჩას და რეხის III ქუჩის მონაკვეთს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მანანა ლოლაძის სახელი მიენიჭა;

6. მერაბ მამარდაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გიორგი ქარაიას სახელი მიენიჭა;
7. რეხის შესახვევისა და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ელისო ჭიპაშვილის სახელი მიენიჭა;
8. მახათას აღმართთან მდებარე უსახელო ქუჩას 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამარ მამულაშვილის სახელი მიენიჭა;
9. ლამის ქუჩის მონაკვეთს ბელა მირიანაშვილის სახელი მიენიჭა;
10. ზაზა და საულ კახიანების სახელობის სკვერს სიცოცხლის სახელი მიენიჭა;
11. ასპინძის ქუჩას და ასპინძის I ქუჩას ასპინძის სახელი მიენიჭა;
12. ასპინძის შესახვევის მონაკვეთსა და ზეგანის ჩიხის ზეგანის ქუჩის სახელი მიენიჭა;
13. ლამის ქუჩის შესახვევს, ლამის II ჩიხსა და ასპინძის ქუჩის შესახვევს დოდო ჭიჭინაძის სახელი მიენიჭა;
14. ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთს არჩილ ბეთანელის ქუჩის სახელი მიენიჭა;

ნაძალადევი

1. გიორგი გაგილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხს გიორგი გაგილაძის I ჩიხის სახელი მიენიჭა;
2. გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელი მიენიჭა;
3. თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩას საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელი მიენიჭა;
4. ავშნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მალხაზ ჯღარკავას სახელი მიენიჭა;
5. გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას კონტრადმირალ ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა

ისანი

1. ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებული ერთი გასასვლელის კვიპაროსის სახელი მიენიჭა;
2. თეოფანე დავითაიას ქუჩასთან არსებულ უსახელო მოედანს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ზურაბ პატარიძის ქუჩას მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელი მიენიჭა;
3. მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას ზურაბ პატარიძის სახელი მიენიჭა;

4. ე.წ. სამხედრო ქალაქში მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ სამი შესახვევს უშანგი (შმაგი) სოფრომაძის სახელი მიენიჭა;
5. წერნაქის ქუჩის მონაკვეთს ლეილა აბაშიძის სახელი მიენიჭა;
6. მახათას ქუჩის შესახვევს ლიანა ასათიანის ქუჩის სახელი მიენიჭა;
7. მახათას ქუჩას მარინე თბილელის სახელი მიენიჭა;
8. სიმონ ყაუხჩიშვილის ქუჩა სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების სახელი მიენიჭა;
9. მელაანის ქუჩის V შესახვევს და მასთან არსებული ერთ ჩიხს გენერალ-მაიორი რომან გვენცაძის სახელი მიენიჭა;

სამგორი

1. ქიზიყის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას ფოტოხელოვანის ევტიხი ჟვანიას სახელი მიენიჭა;
2. აფხაზეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას ტამიშის სახელი მიენიჭა;
3. კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს კორნელი სანაძის III ჩიხის სახელი მიენიჭა;
4. სადგერის ქუჩასა და აკაკი ჩხენკელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ ოთხ გასასვლელსა და ერთ შესახვევს სახელმწიფო მოღვაწის ყადირ შერვაშიძის სახელი მიენიჭა;
5. თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევს თენგიზ ჩანტლაძის II შესახვევის სახელი მიენიჭა;
6. ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელი მიენიჭა;
7. გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთსა, მასთან არსებულ სამ შესახვევს, ორი ჩიხსა და ერთ გასასვლელს მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელი მიენიჭა;
8. ჯავახეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას გიორგი მელიქიშვილის სახელი მიენიჭა;
9. იგოთის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს იგოთის I შესახვევის სახელი მიენიჭა;
10. გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს იების სახელი მიენიჭა;
11. ირინა შტენბერგის ქუჩას სავანეს სახელი მიენიჭა;
12. გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს მხატვარ ირინა შტენბერგის სახელი მიენიჭა;

13. ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელი მიენიჭა;

14. ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთს აფხაზეთის ომში დაღუპული გელა მინდიკაურის სახელი მიენიჭა;

15. ნავთლუღის II დასახლებაში III ქუჩას, IV ქუჩის მონაკვეთსა და მასთან არსებული სამ შესახვევს ლეონიდე (ლეო) გაბუნიას სახელი მიენიჭა;

16. ორხევში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო სპორტულ მოედანს ფეხბურთელის ვახტანგ ფანგანის სახელი მიენიჭა;

გლდანი

1. ავჭალის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებული ორ შესახვევს გეოლოგის არსენ ოქროჯანაშვილის სახელის მიენიჭა;

2. ე.წ. ავჭალის ხიდს გმირ ქართველ არტილერისტთა სახელის მიენიჭა;

3. ხიზაბავრის ქუჩას, მასთან არსებულ ორ ჩიხსა და ერთი გასასვლელს არქიტექტორის თეიმურაზ ბოჭორიშვილის სახელი მიენიჭა;

4. ილია ვეკუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას კონტრადმირალის ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა;

დიდუბე

1. აკაკი ბელიაშვილის III ჩიხს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ეთერ ბოცვაძის ქუჩის სახელი მიენიჭა;

ინფორმაცია განთავსებული აბრების შესახებ

მთაწმინდა

1. ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა
2. არსენას ქუჩა
3. ბაჩანა ბრეგვაძის ქუჩა
4. ბოლო აღმართის ქ.
5. გურამ რჩეულიშვილის II, III, IV, V ჩიხები
6. გურამ რჩეულიშვილის ქუჩა
7. ვეძინის ქუჩა,I,II,III,IV გას.
8. ვუკოლ ბერიძის ქუჩა
9. მედეა ჯაფარიძის ქუჩა
10. მტკვრის ქუჩა
11. ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხი
12. ძმები ზუბალაშვილების ქუჩა
13. აზეულას II შეს. დაბა კოჯორი
14. აზეულას I შეს. დაბა კოჯორი
15. აზეულას ქ. დაბა კოჯორი
16. გალაკტიონ ტაბიძის I შესახვევი დაბა კოჯორი
17. გალაკტიონ ტაბიძის II შესახვევი დაბა კოჯორი
18. გალაკტიონ ტაბიძის I ჩიხი დაბა კოჯორი
19. გალაკტიონ ტაბიძის II ჩიხი დაბა კოჯორი
20. გრიგოლ ორბელიანის I ჩიხი დაბა კოჯორი

21. დიდების I ჩიხი, კიკეთი
22. დიდების II ჩიხი კიკეთი
23. დიდების I შესახვევი კიკეთი
24. დიდების ქ. კიკეთი
25. სამპანტების I შესახვევი სოფ. კიკეთი სამპანტების ქ. სოფ. კიკეთი
26. გიორგი კვინიტაძის I შესახვევი სოფელი ტაბახმელა
27. გუმბათების წყაროს I შესახვევი სოფელი ტაბახმელა
28. გუმბათების წყაროს ქუჩა სოფელი ტაბახმელა
29. წინანაურის ქუჩა, I,II,III,IV,V შეს, I ჩ სოფელი შინდისი
30. გრიგოლ ორბელიანის II ჩიხი დაბა კოჯორი
31. გრიგოლ ორბელიანის ქ. დაბა კოჯორი
32. გრიგოლ ორბელიანის V ჩიხი დაბა კოჯორი
33. გრიგოლ ორბელიანის IV ჩიხი დაბა კოჯორი
34. გრიგოლ ორბელიანის III ჩიხი დაბა კოჯორი

ვაკე

1. ავთო ვარაზის I შესახვევი
2. ალექსანდრე (საშა) იოსელიანის I, II, III შესახვევი
3. ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა
4. ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა
5. ანდრო ბიწაძის ქუჩა
6. გივი სვანიძის ქუჩა
7. გიორგი დანელიას ქუჩა
8. დარიალის ქ.
9. დუდუ დადიანის ქუჩა
10. ვლადიმერ გაბაშვილის ქუჩა
11. ირაკლი გამრეკელის ქუჩა

12. ირაკლი უჩანეიშვილის I გასასვლელი
13. ირაკლი უჩანეიშვილის III ჩიხი
14. კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა
15. კონსტანტინე კაპანელის ქუჩა
16. ლევან ასათიანის ქუჩა
17. ნინო ჟვანიას ქუჩა
18. ფერმწერთა შესახვევი
19. შალვა ნუცუბიძის ქუჩა
20. თბილისის ქ. დაბა წყნეთი,
21. კაკლების I,II,III ჩიხი დაბა წყნეთი
22. კაკლების ქუჩა, დაბა წყნეთი
23. მშვიდობის ქუჩა დაბა წყნეთი
24. დიმიტრი(დიმა) ბათიაშვილის ქუჩა
25. გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა ბეთანიის დასახლება
26. თხინვალას I, II გასასვლელი სოფ. თხინვალა,
27. აგარაკის ქუჩა სოფელი აგარაკი
28. წმინდაწყლის ქუჩა სოფელი აგარაკი
29. შუა მინდვრის I, II, III ჩიხი სოფელი აგარაკი,
30. შუა მინდვრის ქუჩა სოფელი აგარაკი,
31. ჯურხა ნადირაძის I შესახვევი
32. ჯურხა ნადირაძის ქუჩა
33. წმინდა მოწამე ვასილისკოს ქუჩა
34. ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი.

კრწანისი

1. ალექსანდრე ჩიკვაიძის ქუჩა,I შესახვევი
2. ბესარიონ ლომინაძის ქუჩა ზფონიჭალა
3. გზისკარის II შესახვევი ფონიჭალა

4. გზისკარის III შესახვევი ფონიჭალა
5. გზისკარის IV შესახვევი ფონიჭალა
6. გზისკარის ქუჩა, ფონიჭალა
7. გია აბესაძის I ჩიხი
8. დიდი ხეივნის ქუჩა და I შეს.
9. ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის ქუჩა

საბურთალო

1. ანდრია აფაქიძის ქუჩა
2. არჩილ მეფის ქ. საბურთალო
3. ბერბუკის ქუჩა
4. ბიძინა კვერნაძის I და II შესახვევი
5. ბიძინა კვერნაძის ქუჩა
6. ბროწეულის ქუჩა საბურთალო
7. გია ხეოშვილის ქუჩა
8. გიორგი მიროტაძის ქ. საბურთალო
9. გურამ ტატიშვილის ქუჩა
10. გურამ ფანჯიკიძის I, II შესახვევი
11. გურამ ფანჯიკიძის ქუჩა
12. დები იშხნელების ქუჩა
13. დიდგორის I II III IV V შესახვევი
14. ექვთიმე მთაწმიდელის I ჩიხი
15. ექვთიმე მთაწმიდელის ქუჩა
16. ვახტანგ ბოჭორიშვილის II შესახვევი
17. ვახტანგ ბოჭორიშვილის III შესახვევი
18. ვახტანგ ბოჭორიშვილის IV შესახვევი
19. ვახტანგ ბოჭორიშვილის ჩიხი
20. ვახტანგ ბოჭორიშვილის I შესახვევი

21. ვახტანგ ბოჭორიშვილის ქუჩა

22. თამაზ ნადარეიშვილის ქუჩა

23. ილია აბულაძის I შესახვევი

24. ილია აბულაძის ქუჩა

25. ილია ოდიშელიძის I,II ჩიხი

26. ილია ოდიშელიძის ქუჩა

27. იოველ ჯეგბაშვილის I გასასვლელი

28. იოველ ჯეგბაშვილის ქუჩა

29. იყალთოს ქუჩა

30. იყალთოს I, II ჩიხი

31. იყალთოს გორის ქუჩა

32. იყალთოს შესახვევი

33. კამანის ქუჩა

34. კიტა ბუაჩიძის ქუჩა

35. კუკური გოგიაშვილის ქუჩა და 1-ლი შეს.

36. ლევან გოთუას ქ. და შესახვევი

37. მერაბ ალექსიძის I,II,III შესახვევები

38. პავლე ასლანიდის ქუჩა

39. პანკისის ქუჩა

40. პანკისის შესახვევი

41. პიმენ ყურაშვილის I II III ჩიხი

42. პიმენ ყურაშვილის ქუჩა

43. ჟიული შარტავას ქუჩა საბურთალო

44. საირმის ქუჩა საბურთალო

45. სანდრო მირიანაშვილის I –XVI ჩ.---

46. სიმონ კანდელაკის ქუჩა

47. სიმონ სხირტლაძის ქუჩა

48. სულხან ცინცაძის ქუჩა საბურთალო.

49. ფილიმონ ქორიძის ქუჩა

50. შალვა ახალციხელის ქუჩა (2016 წ.7ც)

51. შალვა გოგიძის ქუჩა

52. ჭანდრის I ჩიხი.

53. ჭანდრის ქუჩა

54. ავთანდილის I შესახვევი (სოფელი დიღომი)

55. ავთანდილის ქუჩა (სოფელი დიღომი)

56. ალექსანდრე ცაგარელის ქუჩა (სოფელი დიღომი)

57. ბარონ დე ბაის ქუჩა,სოფელი დიღომი

58. ბერტა ფონ ზუტნერის ქუჩა (სოფელი დიღომი)

59. გურამ თოფჩიშვილის I II III IV V VI ჩიხი (სოფელი დიღომი)

60. გურამ თოფჩიშვილის ქუჩა (სოფელი დიღომი)

61. დავით ბატონიშვილის ქუჩა (სოფელი დიღომი)

62. დავით სარაჯიშვილის I II III IV შესახვევი (სოფელი დიღომი)

63. დავით სარაჯიშვილის I-X ჩიხი (სოფელი დიღომი)

64. დავით სარაჯიშვილის ქუჩა (სოფელი დიღომი).

65. დიდგორის I-IX ჩიხი (სოფელი დიღომი)

66. დიდგორის ქუჩა (სოფელი დიღომი)

67. თინათინის ქუჩა (სოფელი დიღომი)

68. იან ჰომერის ქუჩა (სოფელი დიღომი)

69. კვირაცხოვლის I და II ჩიხი(სოფელი დიღომი)

70. კვირაცხოვლის II შესახვევი (სოფელი დიღომი)

71. კვირაცხოვლის ქუჩა (სოფელი დიღომი)

72. კრისტოფერო კასტელის I შესახვევი (სოფელი დიღომი)

73. კრისტოფერო კასტელის ქუჩა (სოფელი დიღომი)

74. კრისტოფორე კასტელის I ჩიხი (სოფელი დიღომი)

75. ნიკო ბურის I შესახვევი (სოფელი დიღომი)

76. ნიკო ბურის ქუჩა (სოფელი დიღომი)

77. რაფიელ დანიბეგაშვილის ქუჩა (სოფელი დიღომი)

78. ტარიელის ქუჩა (სოფელი დიღომი)

79. ფიროსმანის I ჩიხი (სოფელი დიღომი)

80. ფიროსმანის ქუჩა (სოფელი დიღომი)

81. ქაქუცა ჩოლოყაშვილის I II შესახვევი (სოფელი დიღომი)

82. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა (სოფელი დიღომი)

83. ავთანდილის I შესახვევი სოფელი დიღომი

84. ავთანდილის ქუჩა სოფელი დიღომი

85. ალექსანდრე ცაგარელის ქუჩა სოფელი დიღომი

86. ბერტა ფონ ზუტნერის ქუჩა სოფელი დიღომი

87. გურამ თოფჩიშვილის I, II, III, IV, V და VI ჩიხი სოფელი დიღომი

88. გურამ თოფჩიშვილის ქუჩა სოფელი დიღომი

89. დავით ბატონიშვილის ქუჩა სოფელი დიღომი

90. დავით სარაჯიშვილის I, II, III და IV შესახვევი სოფელი დიღომი

91. დიდგორის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII და IX ჩიხი სოფელი დიღომი

92. დიდგორის ქუჩა . I, II, III, IV და V შესახვევი სოფელი დიღომი

93. თინათინის ქუჩა სოფელი დიღომი

94. იან ჰომერის ქუჩა სოფელი დიღომი

95. კვირაცხოვლის I, II ჩიხი და II შესახვევი სოფელი დიღომი

96. კვირაცხოვლის ქუჩა სოფელი დიღომი

97. კრისტოფერო კასტელის I შესახვევი,I ჩიხი სოფელი დიღომი

98. კრისტოფერო კასტელის ქუჩა სოფელი დიღომი

99. ნიკო ბურის ქუჩა და I შესახვევი სოფელი დიღომი

100. პიმენ ყურაშვილის I II III ჩიხი დიღომი

101. პიმენ ყურაშვილის ქუჩა დიღომი

102. რაფიელ დანიბეგაშვილის ქუჩა სოფელი დიღომი

103. ტარიელის ქუჩა სოფელი დიღომი

დიდუბე

1. ლუბლიანას ქუჩა
2. მიხეილ ბერძენიშვილის ქუჩა

ჩუღურეთი

1. ბელა მირიანაშვილის ქუჩა
2. დოდო ჭიჭინაძის I ჩიხი
3. დოდო ჭიჭინაძის ქუჩა
4. თამუნა დოლიძის ქუჩა
5. თინა ენუქიძის ქუჩა
6. ლამის ქუჩა
7. მანანა ლოლაძის ქუჩა და I ჩიხი
8. მახათას აღმართი.
9. მნათობის ქუჩა
10. მოსე თოიძის ქუჩა
11. მოსე თოიძის შესახვევი

ისანი

1. არმაზის ქუჩა, შესახვევი
2. ბალადანის ქუჩა
3. გეზათის ქუჩა
4. გიორგი მდივანის I შესახვევი 16ც.
5. გიორგი მდივანის ქუჩა
6. ეკატერინე მელიქიშვილის ქ.
7. ემზარ ონიანის ქუჩა
8. ვაზისუბნის დასახლება I მიკრო/რაიონი
9. თამაზ მუჯირიშვილის ქუჩა

10. თამაზ პაპიაშვილის ქუჩა, I და II გასასვლელი
11. თეთრი წყაროს ქუჩა სანახავია შესახვევი
12. იოსებ რატილის ქუჩა
13. კასპის ქუჩა
14. კოშკოვანის ქუჩა
15. ლეილა აბაშიძის ქუჩა
16. ლერწმის ქუჩა
17. მარტყოფის ქუჩა, I,II ჩიხი და შესახვევი
18. მახათას შესახვევი ისანი
19. მთისძირის I, II შესახვევი
20. მთისძირის ქუჩა.
21. მიხეილ მრევლიშვილის ქუჩა, I,II,III შესახვევი
22. ნავთლუღის ქუჩა და ჩიხი
23. ნოე ხომერიკის ქ..
24. ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძის ქუჩა
25. პეტრე არველაძის ქუჩა
26. უშანგი(შმაგი) სოფრომაძის I II შესახვევი
27. უშანგი(შმაგი) სოფრომაძის ქუჩა
28. ყვარლის I, II ჩიხი, VI შესახვევი
29. ყვარლის ქუჩა
30. შორაპნის ქუჩა
31. ციხისძირის I და II შესახვევი . I, II, III ჩიხი

სამგორი

1. ანდრია გუგუშვილის ქუჩა და I ჩიხი
2. ბოგდან ხმელნიცკის I ჩიხი
3. ბოგდან ხმელნიცკის I, II, III, IV, V შესახვევი
4. ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა

5. გივი ამილახვარის ქუჩა და I ჩიხი
6. გიორგი (გივი) თურმანაულის ქ.
7. გუდამაყრის ქუჩა სოფელი წინუბანი
8. ელენე მეტრეველის I, II და III შესახვევი
9. ელენე მეტრეველის ქუჩა
10. ემირ ბურჯანაძის I, II და III ,IV შესახვევი
11. ემირ ბურჯანაძის I, II და III ჩიხი
12. ემირ ბურჯანაძის ქუჩა
13. ვაჟა ბანეთიშვილის ქუჩა
14. ზურაბ დობორჯგინიძის ქუჩა
15. თიანეთის ქუჩა სოფელი წინუბანი
16. იაკობ ხვედელიანის ქუჩა და ჩიხი
17. ნოდარ კვიციანის ქუჩა სოფელი წინუბანი
18. რქაწითელის ქუჩა, I ჩიხი,I შესახვევი
19. ჯამბულ წურწუმიას I, II, III და IV შესახვევი
20. ჯამბულ წურწუმიას ქუჩა

ნაძალადევი

1. გარეჯის ქ. და 1-ლი ჩიხი
2. გიორგი გაგილაძის ქუჩა, I გასასვლელი
3. დავით გურამიშვილის გამზირი
4. ივანე სიხარულიძის ქუჩა,გასასვლელი
5. ლევან რჩეულიშვილის ქ. I შეს, I,II ჩ.

გლდანი

1. ბაღნარის ქუჩა
2. ელეფთერ ანდრონიკაშვილის I II III შესახვევი
3. ელეფთერ ანდრონიკაშვილის I II,III,IV V,VI VII,VIII ჩიხები
4. ელეფთერ ანდრონიკაშვილის გასასვლელი

5. ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა
6. ერმალოზ კობერიძის ქუჩა
7. ვანის ქუჩა მუხიანი 2
8. ვანო მიდელაურის ქუჩა
9. ზურა მირაქიშვილის ქუჩა
10. ივანე კაჭარავას 1-ლი შესახვევი
11. ივანე კაჭარავას 1-ლი ჩიხი
12. ივანე კაჭარავას ქუჩა
13. სკოლის ჩიხი
14. ხოჭის ტბის ქუჩა
15. ლიბანის I ჩიხი
16. ლიბანის ქუჩა
17. ლიბანის შესახვევი
18. მიხეილ საბაშვილის ქუჩა
19. მიხეილ ხერგიანის ქუჩა
20. ნასერალის ქედის ქუჩა
21. რომან ჭელიძის I შესახვევი
22. რომან ჭელიძის ქუჩა
23. სანდრო კანდელაკის ქუჩა
24. სვიმეონ შოთაძის ქუჩა
25. სკოლის ქუჩა